სამშაბათი, 30 იანვარი, 1907 წ.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 1

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. [illegible] მცირე წერილებს და [illegible] რედაქცია არ ინახავს. ინახება [illegible] დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] სუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ".

48/2 N 2946

ქალაქ ვინიცაში მყოფი ქართველები გულითადის მწუხარებით ვაუწყებთ ნაცნობთ და ნათესავთ სოფელ მუხრხუიდან გადმოხვეწილ ამხანაგის

**ვიქტორ ო. ნადირაძის**

გარდაცვალებას კვირას 21 იანვარს. (1 უ.—1)

ხუთშაბათს 1 თებერვალს ქ. ქუთაისში სომხების ეკლესიაში, დილის 10 საათზე, გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

**კნ. მარიამ მიხაილის ასულის თუმანიშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც შვილი მისი თ-დი ალექსანდრე დიმიტრის ძე თუმანიშვილი აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ (3—ფორ.—1)

**კნ. თამარ ალექსანდრეს ასული ვახვახიშვილისა**, აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ პირველ თებერვალს, თელავში, დილის 10 საათზე, ღვთისმშობლის ეკკლესიაში (სობოროში) გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი

**თ. დიმიტრი ზაალის ძის ვახვახიშვილის**

სულის მოსახსენებლად. (2—512—2)



**ძმათა ნიკიტინების ცირკი.**

სამშაბათს, 30 იანვარს, გაიმართება დიდი და საუცხოვო წარმოდგენა. გასტროლი ევროპაში ცნობილ მეველოსიპედეთა ძმ. ეფიმოვებისა გამოვა ცნობილი უნგრელი მხედარი M-lle ორანტო. საწაული მე-20 საუკუნისა! **მაღლი მემუსიკე** უკრავს ფის-გარმონზე არიებს და ოპერებს. თუ გინდათ დარწმუნდეთ, მოდით ცირკში. დასასრულ **„რობერტი და ბერტრამი"**, ბალეტი ორ მოქმედებათ აპოთეოზით. მონაწილეობას მთელი ბალეტიდა პრიმაბალერინა რუმიანცევა.

**ანონსი:** 2 და 5 თებერვალს გაიმართება ორ-ორი დიდი წარმოდგენა; დილისა—განსაკუთრებით ბავშვების და მოწაფეების სასიამოვნოდ, დაკლებულის ფასებით.

**დასაწყისი 8½ საათზედ.**

გამგე რ. ს. გამსახურდია.

ექიმი
**გ. ნ. მაგაკიანი**

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვებისას სპეციალური ექიმია **კუჭისა და ნაწლავებისა.** მიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პროს., № 36, სახ. ჰავჰანიძისა (25—18)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**

დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 11—1 ს. და საღ. 4—6. ვერა, ოლღას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (25—732—23)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—32)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

მედიცინის დოქტორი
**მ. ი. მურადოვი**

რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტის კლინიკის ორდინატორად იყო, იღებს საშარდეს, ვენერიულ (სიფილისი) და კანის სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—12 საათ., საღამოთი 5—7 ს. სოლოლაკი, რტიშჩევის ქ., № 1, ცეცხლის-მქრობელ რაზმის პირდაპირ. ტელეფონი 711. (25—ხალ.—24).

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (25—21)

**სამკურნალო**
ექიმთა საზოგადოებისა
**ტფილისში**
მუდმივის საწოლებით
(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

**მიხეილ აგაჯანოვი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

[illegible]**ოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. [illegible]:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობის.

**მ. მ. კიმთნელი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**მ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.

**ა. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—16)

**ვერის სამკურნალო**
სპეციალისტ ექიმებისა.
ოლგას ქუჩა № 35.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე.

**ექ. შახნუდაგოვი**—ნერვებისა და საელექტრო წამლობა და ჰიპნოზი. 9—10 ს.

**ექ. მელიქ-ფინანთოვი**—ვენერიული, კანისა და საშარდე 9½—11 ს.

**ექ. რამენდიკი**—შინაგანი 10½—11½ ს.

**ექ. ზაკრჟევსკი**—ქალისა და სამშობიარო 11—12 საათამდე.

**ექ. ქალანთაროვი**—თვალისა 1—2 ს.

**ექ. კიკოზნაიძე**—ქირურგიული 12—1 ს.

**ექ. მარცინკევიჩი**—ბავშვისა 12—1 ს.

**ექ. შტრეიხერი**—ყელისა, ყურისა და ცხვირისა 1—2 ს.

**ექ. გამბურგერი**—ქიმ. მიკრ. და ბაქტ. გამოკვლევა შარდისა, სისხლისა, ნახველისა და სხვ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

**სამკურნალოში შეიძლება მასსაჟი.** (100—87)

**სამკურნალო**
**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**ვანქის დიდი ქუჩა**, № 5.
ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**ექ. ფ. ი. რუდენკო**— შინაგანი სნეულობანი, ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

**ექ. ფ. ვ. ჩუდნოვსკი**—ქირურგ. სნეულ. ორშაბ. და პარასკეობით 2—3 ს.

**ექ. მ. ი. იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და კვირაობით 2—3 ს.

**ექ. ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურ. და საშარდე. ორშაბ., ხუთშ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

**ექ. ნ. მ. ასპიზოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

**ექ. ვ. გ. ბოჟოვსკი** — შინაგანი წამლობა ზთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

**ექ. ა. ნ. თეთრაძე**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

**ექ. ა. ი. პავლიცკი.** ქირ. 12—1 ს. ყოველ დღე. კვირაობით 4—5 ს.

**ექ. ა. ა. მონსე**—შინაგანი, ბავშვების, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

**ექ. ა. ფ. რომმაინსკი**—საბავშვო, ოთხშაბ., შაბათს 11—12, პარასკ. 1—2 ს.

**ექ. ნ. ი. ნეუიმინი**—თვალისა, ორშაბ., სამშაბათს, ოთშაბ., შაბათს 11—12 ს.

**ექ. ა. ა. ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ოთხშაბ. და კვირას 12—1, პარასკ. 1—2.

**ვ. ი. ნნაევ.**—შინაგანი 1—2 ს. სამშ., ოთხშ., შაბ., კვირ.; ქალებისათვის—ორშაბ., ხუთშაბ. 1—2 ს., პარასკ. 12—1 ს.

**ექ. ზ. ფ. ნევზოროვი** — კბილისა, ყოველ დღე 11—5.

**ექ. მ. ი. გოროდცოვა.** მასსაჟი 11—4 ს.

**ექ. კ. მ. პივარსკი** | **ექ. ვ. ი. ჩუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.

**ექ. გ. ი. ლიობკო**—საექიმო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—6 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—5.—45)

ქალ. სიღნაღში
**ექიმი ა. ა. ბალაშვილი**

1 თებერვლიდან იწყებს ავათმყოფების მიღებას, ნ. მირინაშვილის სახლში, ფოსტის ქუჩაზედ. (24—509—3)

**◆ლაქტო-ბაცილიანი რძე◆**

მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ

**ა. ს. კლემანსკის**

ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. ტელეფონი № 389. (100—51—60)

**დაიბეჭდა და იყიდება**

ალ. ბაქრაძის ახალი პიესა

**ამ დროის გმირები**

თანამედროვე ცხოვრ. 4 მოქ. და 5 სურ.

**ფასი 30 კაპ.**

პარტიით მსურველთ მიმართონ შიო ქუჩუკაშვილს (წ. კ. საზ. მაღაზიაში) (5—3)

**სახაზინო თეატრი**

ანტრეპრიზა რიზა ნორდშტრემისა
სამშაბათს, 30 იანვარს 1907 წელს
შესრულებული იქნება **რიზა ნორდშტრემის მონაწილეობით**

**პიკოვაია დამა**

ოპერა 7 სურათად, ჩაიკოვსკისა.
დასაწყისი 8 საათზედ.
რეჟისორი **ზ. დუნაევსკი.**

ხვალ 31 იანვარს დანიშნულია პირველი გასტროლი გამოჩენილ მომღერალ ქალის

**აიდა განშაგა-ზი**

გამგე ოპერისა **ვ. ლ. ურუშაძე.**

ამა 1907 წ. 1 თებერვლიდან მსურველთ ვასწავლი **ხალხურ სიმღერებს და**

**გალობას.**

კვირაში ორჯელ: ორშაბათობით და ხუთშაბათობით სალ. 5—8 ს-მდე ივერიის ქუჩაზედ, № 29, სახ. ყულუმბეგაშვილისა, ქალაქის პირველ დაწყებით სასწავლებლის შენობაში. მსურველთ მიმართონ და ჩაეწერონ შიო ქუჩუკაშვილთან წ. კ. გ. ს. კანტორაში და ს. სიკო მერკვილაძესთან „ცოდნის" მაღაზიაში. მოსწავლენიც მიიღებიან.
(5—3) ა. კავსაძე.

## ტფილისი, 30 იანვარი.

ჩვენი სოციალ-დემოკრატები დღითი-დღე უფრო და უფრო ღრმად ხტობავენ იმ საფლობში, რომელსაც დემაგოგია ჰქვიან, და დღითი-დღე უფრო და უფრო გაბედულად გამოაქვთ თავის გამოცემათა ფურცლებზე კრიტიკის ნაცვლად მკითხაობა და გულთამხილველობა. რა თქმა უნდა, ეს თავისებური თვისება სოციალ-დემოკრატ პუბლიცისტებისა არასოდეს ისე ცხადად და ნათლად არ სჩნდება, როგორც მაშინ, როცა ისინი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიას ახასიათებენ და «აკრიტიკებენ». სწორედ ამ მხრივ მეტად საინტერესო და სანიმუშოა ბ-ნის რაჟდენიძის «კრიტიკა».

დასაბამი ბ-ნის რაჟდენიძის «კრიტიკისა» ისაა, რომ ქართველ ინტელიგენციას დიდ კონკურენციას უწევენ რუსი მოხელეები. აი, ამ კონკურენციის მოსასპობად ქართველმა ინტელიგენციამ დააარსა თურმე სოციალისტ-ფედერალისტების პარტია, რომლის ქვაკუთხედსაც, ბ-ნის რაჟდენიძის ცნობით, შეადგენს საქართველოს ავტონომია. როგორც ხედავთ, ბ-ნის რაჟდენიძის კრიტიკა და შეგნება მაინცა და მაინც ღრმად არ მიდის. იმის შეხედულებით, ერთად-ერთი მოტივი ადამიანის მოქმედებისა არის კუჭის ინტერესი; ამ ინტერესმა ქართველ ინტელიგენტის კუჭიდან იმის თავში ისკუპა, დაჰბადა იქ ავტონომიის აზრი და შეადგენინა პარტია, რომლის მიზანს და ქვაკუთხედსაც ავტონომია შეადგენს: როცა ავტონომია განხორციელდება, მაშინ რუსი მოხელეები ქართველ ინტელიგენციას კონკურენციას ვერ გაუწევენ, ჯამაგირიანი ადგილები სულ ქართველ ინტელიგენტებს დაურიგდებათ და იმათი კუჭის ინტერესიც დაკმაყოფილდება.

ასე ესმის ბ-ნ რაჟდენიძეს სოც.-ფედერალისტთა პარტიის წარმოშობის ისტორია. ესაა ბ-ნ რაჟდენიძის წარმოდგენით ამ პარტიის შინაარსი და დედა აზრი, ყოველივე სხვა კი, რასაც ეს პარტია ჰქადაგებს და ლაპარაკობს, უბრალო საკენკია ხალხის გულის მოსაგებად და იმის გასაბრიყვებლად, მაგრამ «ხალხი სიტყვებით აღარ სტყუვდება. მან იცის გარჩევა ავისა და კარგის». ხალხი, რა თქმა უნდა ისეთ გულთ და კუჭთა მხილავ პუბლიცისტების ხელმძღვანელობით, როგორიც ბ-ნი რაჟდენიძე ბრძანებულა, ჰხედავს, რომ სოც.-ფედერალისტების პარტიას ხალხის ინტერესი ჩირადაც არ მიაჩნია, რომ ეს პარტია ოღიოდე ინტელიგენტის კუჭის დასაკმაყოფილებლად არის დაარსებული და ამიტომ ამ პარტიას მკვახედ უცქერის. სოც.-ფედერალისტთა პარტიას, ბ-ნ რაჟდენიძის ცნობით, ავტონომია კონტრაბანდად ჰსურდა ეტარებინა ხალხში და ამიტომ შეადგინა სოციალისტურ ფრაზეოლოგიით მოკაზმული პროგრამა, მაგრამ აბა რას გახდებოდა, როცა ბ-ნს რაჟდენიძეს და მის ამხანაგებს განსაკუთრებითი საბაყო მოხელეები ჰყავთ, რომელთა დანიშნულებაც ისაა, რომ კონტრაბანდას ადევნონ თვალყური და ხალხში არ შეუშვან.

ამ გვარად, სოციალისტ-ფედერალისტების პარტია თავისი ავტონომიით, როგორც ბ-ნი რაჟდენიძე ირწმუნება, ჯერ-ჯერობით ჰაერზე ჰკიდია და არავითარს რეალურ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენს.

ჩვენ ვთქვით, რომ ბ-ნ რაჟდენიძის «კრიტიკა» სანიმუშო და საინტერესოა. ეხლა შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ეს კრიტიკა ჩვენთვის—ს.-ფედერალისტებისთვის ჭკუის მასწავლებელიც არის. როგორც თავის თავად სჩანს ყველასთვის, ვისაც კი გონების თვალი არა აქვს აკრული სოციალ-დემოკრატიული მედიდურობით და ფანატისმით, ჩვენი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი გვჯობიან არა იმიტომ რომ მათ ჩვენის პროგრამის წინააღმდეგ ეთქმოდეთ რამე, არა იმიტომ რომ მათ რაიმე საბუთი ჰქონდეთ ჩვენის მოძღვრების და იდეალის წინააღმდეგ, არამედ მხოლოდ იმიტომ რომ ისინი წარბ-შეუხრელად და შეუჩერებლივ მიისწრაფიან თავის პარტიულ ძლიერებისკენ, ენერგიულად მოქმედებენ ხალხში და მედგრად სცდილობენ ჩვენი სახელის გატეხას ყოველგვარის ცილის წამებით და სიყალბით. ჩვენი პარტიის დასამცირებლად ქართველი სოციალდემოკრატები არ უკადრისობენ ფარისევლურ მლიქვნელობას და სამარცხვინო ლაქუცს, წამ-და-უწუმ ჩასძახიან ხალხის ბრბოს ყურში, შენ უკვე იცი, ვინ არის შენი მტერი და ვინ არის მეგობარი, შენ უკვე გაარჩიე ავი და კარგი, უკვე განუცხადე თანაგრძნობა სოციალ-დემოკრატიულს პარტიას და რა თქმა უნდა, ეხლა შენს მტერს აღარ გაახარებ და სოც.-ფედერალისტთა პარტიას მეზობლადაც არ მიიკარებო. ეს მდაბალი ღირებულობის დემაგოგობა ანუ მეუგნებელ ბრბოს წინაშე მუხლის მოდრეკა და ხალხის თანაგრძნობის შესყიდვა იაფფასიანის ქება-დიდებით—უტყუარი ფაქტია, რომელიც უკვე ურცხვად იფინება გაზეთების ფურცლებზე პუბლიცისტიკის და საზოგადოებრივი კრიტიკის მაგიერ. ის გარემოება, რომ ამ გვარს ღინობას ხალხში გასავალი აქვს, საშინელი სიმპტომია საზოგადოებრივი აზრის გახრწნილების და დაცემის. ჩვენი მოვალეობაა, არ შევეგუოთ ამ ზნე დაცემულობას, პირიქით წინააღუდგეთ მას და ყოველთვის პიტალო სიმართლე ვუთხრათ ხალხს, თუნდაც ამ სიმართლისთვის თვით ხალხმა მოინდომოს ჩვენი ჯვარცმა. დღეს დიდი უმრავლესობა მშრომელის ხალხისა სოციალ-დემოკრატიას ემხრობა, იმას ემორჩილება და იმისაკენ მიიწევს, მაგრამ ამ თანაგრძნობის შესანარჩუნებლად სოციალ-დემოკრატები იძულებულ არიან ყოველ ცისმარე დღე სოც.-ფედერალისტთა შესახებ ყალბი ცნობები მიაწოდონ ხალხს და დაუსრულებლივ ჰბეროს იგი ქებათა-ქებით და ხოტბით. სიყალბე და პირფერობა კარგი მასალა ვერაა, მკვიდრ კედელს ვერ ამოაშენებს; ეს მშვენივრად ესმით სოციალ-დემოკრატიის ჩვენებურ ლიდერებს და სწორედ ამიტომ არ ამლევს მათ მოსვენებას სოციალ.-ფედერალისტთა პარტიის არსებობა.

## არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

### ჩვენში.

**არჩევნები ტფილისში.** კვირას, 28 იანვარს, მოხდა არჩევნები ტფილისის ამომრჩევლებისა. გუშინ გამოირკვა შემდეგი:

პირველ საარჩევნო უბანში აირჩიეს:

| | | |
|---|---|---|
| | 9 | სოციალ-დემოკრატი, |
| მეორე . . | 3 | სოციალ-დემოკრატი, |
| მესამე . . | 3 | დაშნაკცაკანი, |
| მეოთხე . . | 9 | სოციალ-დემოკრატი, |
| მეხუთე . . | 8 | დაშნაკცაკანი, |
| მეექვსე . . | 4 | სოციალ-დემოკრატი, |
| მეშვიდე . | 15 | დაშნაკცაკანი, |
| მერვე . . | 5 | სოციალ-დემოკრატი, |
| მეცხრე . | 12 | სოციალ-დემოკრატი, |
| მეათე . . | 12 | სოციალ-დემოკრატი. |

სულ გავიდა 54 სოც.-დემოკრატი და 26 დაშნაკცაკანი. კადეტებმა, ჰანჩაკისტებმა და „პატრიოტებმა" სულ ცოტა ხმა მიიღეს. ბიულეტენის ანგარიშს ხვალ დავბეჭდავთ.

—

**სოხუმი.** (დეპეშა). სოხუმში ამრჩევლის არჩევნები გათავდა. 257 ხმით არჩეულ იქმნა ნიკ. თავდგირიძე. ს.-ფედერალისტების კანდიდატმა გაბუნიამ მიიღო 125 ხმა, ს.-დემოკრატებისა მხეიძემ—87.

—

**გორი.** პატარა თვითმპყრობელები რუსეთს თავის დღეში არც გამოჰლევია და არც გამოელევა. ადგილობრივ ბოქაულიდან დაწყებული სტრაჟნიკამდე ყველა თავის თავს პატარა თვითმპყრობელად ჰგრძნობს და როგორც ესურვებათ, ისე იქცევიან. აი მაგალითიც: 27 იანვრისთვის გორში მემამულეთა არჩევნები იყო დანიშნული. დილიდან ხალხმა იწყო შეგროვება სამხედრო საქმეთა საკრებულოს ეზოში, სადაც დანიშნული იყო არჩევნები. ადრე მოვიდნენ სოფლებიდან წვრილ მემამულეთა რწმუნებულები, რომელთა უმრავლესობას წერა-კითხვის არ მცოდნე გლეხები შეადგენდნენ. არჩევნები „ბიულეტენის" საშუალებით იყო და რადგან, როგორც ზევით ვთქვი, ბევრმა წერა არ იცოდა, ინტელიგენტებს სთხოვდნენ, რომ ჩაეწერათ მათთვის სასურველი კანდიდატები. ინტელიგენტებიც, რასაკვირველია, თხოვნას უსრულებდნენ და მახლობელ დუქნებში მათ კანდიდატებს უწერავდნენ „ბიულეტენში". არავითარი პროპაგანდა და აგიტაცია არა ყოფილა. ეს ამბავი, როგორცა სჩანს, ჯაშუშებმა აუწყეს პოლიციას და ასე პირველ საათზე ერთის მთვრალ ჟანდარმის წინამძღოლობით სამი ჩაფარი დაერია ხალხს ხმალ ამოღებული, გამოარჩია მათში ინტელიგენტები და შერეკა მახლობელ დუქანში. როდესაც ერთმა ინტელიგენტმა შენიშნა ჟანდარმს, რომ იმას არა აქვს უფლება სტოლიპინის რესკრიპტის ძალით აღუკრძალოს მას მსურველთ ბიულეტენში კანდიდატები ჩაუწეროს„, ჟანდარმმა იძრო რევოლვერი და კინაღამ მოჰკლა იგი. ამნაირად დაამწყვდია პოლიციელმა დუქანში ოთხი ინტელიგენტი, მედუქნე, ერთი მუშტარი და ერთიც გლეხი, მაგრამ გლეხი მალე გაუშვა, რადგან მან თხოვნა შეუსრულა და ერთი ქიქა არაყი დაალევინა. დაჭერილები იქვე გაჩხრიკა, ჩამოართვა პასპორტები და სხვა ნაწერი ქაღალდები და გაუყენა პოლიციის გზას. მაგრამ ამით არ გათავებულა საქმე: ამ პატარა თვით-მპყრობელს არ მოეწონა ბევრი ქუჩაში მოსიარულე, მეტადრე ისინი, ვისაც იმნაირი ქუდები ეხურათ, როგორიც დაჭერილებს, ატყვევებდა მათ, უშვერის სიტყვებით ლანძღავდა და ეუბნებოდა: „თქვენ თუ „ერთობის" მქადაგებელი არა ხართ, რათა გხურავთ ყველას ერთნაირი ქუდებიო". სამიც გზაში დაატუსაღა და ყველა პოლიციაში შერეკა. მაზრის უფროსის თანაშემწემ, ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ, გზაში დაჭერილები განათავისუფლა, მხოლოდ ზოგიერთების პასპორტები დაიჭირა და საღამოს მისვლა უბრძანა; აგრეთვე განათავისუფლა მედუქნე და დუქანში შესული მყიდველი. დანარჩენ ოთხ ინტელიგენტს პროტოკოლი შეუდგინა და შეიპყრო.

აი ამნაირად ესმით ადგილობრივ პატარა „თვით-მპყრობელებს“ სტოლიპინის პატარა თავისუფლება არჩევნების შესახებ.

რაც შეეხება თვით არჩევნებს, არჩეულ იქმნენ შემდეგნი: არჩილ ლევ. ჯაფარიძე, ილია დიმ. მაჭავარიანი, მიხეილ სტ. ტერ-სტეფანოვი, აბრამ იაკობის ძე შალუკაშვილი, მიხეილ ალ. აბუაშვილი, კარპოზ ივ. თაქთაქიშვილი—ყველა ს.-დემოკრატი.

გ—ლი.

—

**ქუთაისი**. მემამულეთა კრება სამი ამომრჩეველის ასარჩევად მოხდა ოლქის სასამართლოს დარბაზში. მსხვილ მემამულეთა რიცხვი, სიის მიხედვით თუმცა 140 კაცზე მეტია, მაგრამ ცოტა გამოცხადდა, სამაგიეროდ მრავლად მოვიდნენ წვრილ მემამულეთა რწმუნებულნი. თავმჯდომარემ დ. ნიჟარაძემ მოკლე სიტყვა წარმოსთქვა და წინადადება მისცა დამსწრეთ, კანდიდატები დაასახელეთო. ერთმა წევრმა წვრილ მემამულეთა წარმომადგენელმა დაასახელა ხუთი კაცი იმ დროს, როცა ასარჩევი იყო სამი კაცი. ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება კრების წევრმა ვლ. მიქელაძემ და სხვათა შორის სთქვა, რომ დღევანდელ კრებაზე ჩვენ მხოლოდ სამი კაცი უნდა ავირჩიოთ, ეხლა-კი ერთი უმთავრეს პარტიის, ე. ი. სოციალ-დემოკრატების წარმომადგენელი ადგა და პარტიის მხრით, პარტიის სახელით აილო სია და ხუთი კაცი დაასახელა, ესენი გვინდა ამოვირჩიოთო, ესენი არიან ჩვენი კანდიდატებიო. ეს დამსახელებელის შეუგნებლობას ამტკიცებს. თუ ასეთ ადვილ გასაგებ საქმეში ისეთი შეცდომა მოსდის, უნდა ვიგულისხმოთ, რამდენ შეცდომას ჩაიდენთ უფრო რთულ საგნების განსაჯასა და გადაწყვეტაში. შეცდომა პირად საქმეში ბუნებრივი და მოსალოდნელია, მაგრამ სახელმწიფო საკანონმდებლო სათათბიროს არჩევნების შესახებ შეუწყნარებელია, ვინაიდან მას შედეგად დიდი უბედურება მოსდევსო.

ხალხს მიმართა შემდეგ მიქელაძემ და სთქვა: ჩვენ პეტერბურგში ვგზავნით კანონმდებლებს. ამ დიად მოვალეობის აღსრულების დროს, დიდი მომზადება, დიდი დაკვირვება და შორსმჭვრეტელობა გვმართებს. აქ-კი ვხედავ, რომ არჩევნების უბრალო წესებიც-კი არ იცის უმეტესობამ, რომელიც ბელადების პარტიულ განზრახვას მისდევენ. იცოდეთ, ამ გვარი მოქმედება ქვეყანას და ხალხს კარგს არას უქადის. ეჭვი არა მაქვს, რომ მე და ჩემი ამხანაგები დღეს გაშავებული ვიქნებით, რადგან ჩვენ მოწინააღმდეგებლად თქვენ მოგიყვანეს აქ და გეუბნევიან, ვითომ ჩვენ მტერნი ვიყოთ თქვენი და მშრომელ ხალხის ინტერესების; მომავალი გვიჩვენებს, ვინ დააყენა ხალხი ცუდ გზაზე, ვინ ჩაუნერგა ხალხს ყალბი აზრები. მე ამ ქვეყნის შვილი ვარ. აქ, დღეს, თქვენ წინაშე მინდა ბრალი ავიხადო და დეე იმათ დაატყდეთ იგი, ვინც ყოველ უმსგავს საშუალებას მიმართოს ხალხის შესაცდენად. და ჩვენ-კი ბრალი აყრალი გვაქვს ჩვენი ქვეყნის წინაშეო.

შემდეგ ამისა კენჭის ყრით აირჩიეს: კიკაბიძე ივანე, სიხარულიძე ირაკლი და გორდაძე მიხეილ. გაშავებულ იქმნენ ვლ. მიქელაძე, გ. ზდანოვიჩი და დავით ლორთქიფანიძე.

—

**არჩევნები ქუთაისში**. მართალი უნდა მოგახსენოთ, მეზარებოდა ქუთაისის არჩევნების შესახებ წერა, რადგან ეს არჩევნები შეიძლება დახასიათდეს პატარა ფრაზით—მან გარყვნილობისა და ზნეობის გათახსირების მეტი ჩვენს მოქალაქეს სხვა ვერაფერი შესძინა. და ამის შემდეგ დამეთანხმებით, რომ ამ არჩევნების აღწერა სასიამოვნო საქმეს არ წარმოადგენს, მაგრამ მოვალეობას ვერსად წაუვა კაცი და მე კი ჩემატიანის მოვალეობა მაიძულებს შევუდგე საქმეს.

დავიწყოთ თავიდან. ნატვრის თვალი ძნელი საშოვარია, ხოლო არჩევნების დროს კანდიდატების ბიულეტენი და განცხადება ნამდვილ ნატვრის თვალად გადაიქცა. თითო ამრჩეველს უფლება ჰქონდა ორის ბიულეტენის მიღებაზე; რადგან ბიულეტენისა და განცხადების დაბეჭდვა დაგვიანდა, ამის გამო პოლიციამაც დროზე არ ჩააბარა ამომრჩევლებს, შეიქნა ძებნა დაინტერესებულ პირთაგან ამ ბიულეტენებისა, რომ დროზე დაერიგებინათ თავიანთ მომხრეთათვის. აქეთ ... ეცნენ ბრძოლის ველზე გამოსული მოპირდაპირენი, იქით და იმ სამწუხარო დასკვნამდე მივიდნენ, რომ პოლიციისა და მის აგენტების გარეშე სხვა გზა არ არის ბიულეტენების მოსაპოვებლად. ათვალწუნებული პოლიცია სულზე უტკბესი შეიქმნა მათთვის, ვისაც კბილებიც კი უკაწკაწებდა „ბიულეტენებისათვის. როგორ მოიპოვეს ბიულეტენები გამალებულმა მებრძოლმა მოპირდაპირეებმა, ამის განხილვას არ შევუდგები, ვინაიდან უტყუარი საბუთი იმ ხმებისა, რომელიც ქალაქში ტრიალებს, არა მაქვს, ხოლო ის კი აშკარაა, რომ პოლიციის აგენტებთან ერთად დადიოდნენ ჩვენი ეს-დეკების აგიტატორები და მათი თანადასწრებით აბარებდნენ ამრჩევლებს ბიულეტენებს. ისეთი ფაქტიც კი გამოაშკარავდა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში პოლიციის აგენტებს ამრჩევლებისათვის ჩაუბარებიათ ისეთი ბიულეტენები, სადაც კანდიდატებიც ყოფილა ჩაწერილი. ამის დამამტკიცებელ საბუთს ეხლავე მოვიყვან: 20 ამ თვეს, ე. ი. არჩევნების 4 დღის წინად რამდენსამე მოქალაქეს ქალაქის გამგეობაში წარუდგენია ეს-დეკების კანდიდატებით შევსებული ბიულეტენი და განუცხადებიათ, რომ ამ სახით ჩაგვაბარა პოლიციამაო. ქალაქის გამგეობას შესაფერი ოქმი შეუდგენია და სამაზრო საარჩევნო კომისიისთვის გადაუცია. ურწმუნო თომა ქვეყანაზე მრავალია. რათა ამისთანებიც დავარწმუნო, რომ პოლიცია ხელს უწყობდა „ერთად ერთ მუშათა პარტიას“, აღვნიშნავ იმ ფაქტებსაც, რომ არჩევნების დღეს არა ერთმა და ორმა განაცხადა, რომ საარჩევნო ბიულეტენი მათ პოლიციამ რამდენისამე ახალგაზდის თანხლებით გადასცა და ბიულეტენში კანდიდატები იყვნენ ჩაწერილნი. ეს გარემოებაც ოქმში აღუნიშავთ.

არჩევნების წინა დღეებში გამოქვეყნდა სოც.-დემოკრატების პროკლამაცია, სადაც ასეთ ფრაზას შევხვდებით: „მოქალაქენო, თქვენ იკითხავთ ვინ არიან ამ უპრავაში (იგულისხმე ქალაქის გამგეობა) ასეთები, რომ მოქალაქეთა საარჩევნო უფლებების ძარცვა გლეჯაში თვით ხულიგანურ სამინისტროს გადააჭარბეს? არ გაგიკვირდეს ამომრჩეველო, ესენი ეგრედ წოდებული სოციალისტ-ფედერალისტები და კადეტები არიან, რომლებიც მუდამ ხალხის გაჭირვებაზე და ბედ-იღბალზე პტყელ-პტყელ სიტყვებს არახუნებენ, საქმით კი მთავრობას გადააჭარბეს“. ასეთ ლანძღვის მიზეზს ამავე პროკლამაციაში ვკითხულობთ: გამგეობამ, თანახმად 600 ამრჩეველის განცხადებისა, შუამდგომლობა აღძრა, რომ არჩევანი კენჭის ყრით მომხდარიყო. თავის მხრით გამგეობას უთხოვნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ კენჭის ყრა შეწყნარებული არ იქნება, ამომრჩევლებს აეკრძალოთ სახლში დაწერა იმ კანდიდატებისა, რომლებსაც ხმას აძლევენ. ჩვენ თავის დროზე შესაფერად დავაფასეთ ქალაქ-ს თავის ინიციატივა იმ საქმეში, რომ ამომრჩევლები ვალდებულად გაეხადნათ კანდიდატების სია არჩევნების დღეს შეედგინათ საარჩევნო დარბაზში, მაგრამ აქ ს.-ფედერალისტები რა შუაში არიან? მე რომ მკითხოთ—არაფერში, მაგრამ ს.-ფედერალისტებს ლანძღვა ს.-დემოკრატებს ჩვეულებად გადაიქცათ და ვერც აქ ულალატეს ამ ჩვეულებას; მაგარი ის არის, რომ ს.-დ. ს.-ფედერალისტებს უკიჟინებენ, რომ ხულიგანურ მთავრობას გადააჭარბეთო და იმავე პროკლამაციაში ამტკიცებენ, რომ თითონ გაქლერთილან ამ სენ თ. იგივე პროკლამაცია მართლმორწმუნე ს.-დემოკრატების საყურადღებოდ შემდეგის **ბრძანებით** თავდება: „თითო ამომრჩეველს უფლება აქვს თითო ბლანკის გამოტანის, ისარგებლეთ ამ უფლებით, გამოიტანეთ ოთხივე ბლანკი, რაც მოგრჩეთ თქვენი, ქუჩის კომისიას გადაეცით. როდესაც მიიღოთ ბლანკი, დაიტაცეთ, ნურავის ჩასწეროთ, **სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის კომისიის წევრები გეტყვიან ვინ უნდა ჩასწეროთ შიგ**“.

რომ არ მცოდნოდა, რომ ს. დ. პარტია არჩევნების თავისუფლებისა და საიდუმლოების მომხრეა, ამ სიტყვების წაკითხვა იმ დასკვნამდე მიმიყვანდა, რომ პროკლამაციას შეცდომით ან ხალხის თვალის ასახვევად მიუთვისებია სოციალისტურ პარტიის სახელი და იგი ან სტოლიპინის ცირკულარია ან და რომელიმე გენერალ-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილება. ბრძანებაა, ნამდვილი ბრძანება, და ს.-ფედერალისტებს კი უკიჟინებს პროკლამაცია, რომ ხულიგანურ სამინისტროს გადააჭარბესო. ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალო, სწორეთ ამაზეა ნათქვამი, ამაზე შორს ცინიზმი და მოურიდებლობა ველარ წავა. პიროვნების შეუხებლობა, არჩევნების საიდუმლოების პრინციპის დაცვაც სწორედ ასეთი უნდა!

მგონი ს.-დ. მოქმედების დასახასიათებლად ესეცა კმარა, მაგრამ გული არ მითმენს და მკითხველს უნდა გავუზიარო ერთი ჩემი დაკვირვება. არჩევნების დღეს აგიტაცია ქალაქის გამგეობის მახლობლად შეუძლებელი იყო, ცოტა მოშორებით-კი სწარმოებდა—ყველა პარტიის აგენტები სცილობდნენ თავიანთი კანდიდატები მოეწონებინათ ამრჩევლებისთვის. პოლიცია, რასაკვირველია, გაფაციცებით ადევნებდა თვალს აგიტაციას და რამდენიმე აგიტატორი კიდევაც დატუსაღა, მაგრამ დატუსაღებულთა შორის არცერთი ს.-დემ. არ აღმოჩნდა. რას მოასწავებს ნეტავი ეს მოვლენა?!

სხვა მხრით არჩევნებმა წესიერად ჩაიარეს საარჩევნო დარბაზში წესი არც ერთხელ არ დარღვეულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ერთმა და იმავე კაცმა სხვის მაგიერად რამდენჯერმე ისარგებლა ხმის უფლებით. ისეთი შემთხვევაც-კი ყოფილა, რომ მკვდრების მაგიერათ ჩაუგდიათ ბარათი ურნაში. მაგრამ ეს წვრილმანია ზემოხსენებულთან შედარებით და სალაპარაკოდაც არა ღირს.

## რუსეთში

(დეპეშათა სააგენტოსაგან)

**პეტერბურგი**. 27 იანვრამდე სულ აირჩიეს 3647 ამომრჩეველი. ამათგან გლეხებმა აირჩიეს 1554; ამ რიცხვში მონარქისტი 479 ანუ 30,6%, ზომიერი 200 ანუ 12,7%, მემარცხენე—524 ანუ 33,6%, ნაციონალური პარტია 79 ანუ 5%, უპარტიო 188 ანუ 12,8%, თავისი ვინაობა არ გამოაცხადა 84 ანუ 5,3%.

მემამულეებმა აირჩიეს 1179, ამათგან მონარქისტი 393 ანუ 33,3%, ზომიერი 318 ანუ 27%, მემარცხენე 240 ანუ 20,4%, ნაციონალურ პარტ ისა 136, ანუ 11,5%, უპარტიო 44 ანუ 3,8%, ვინც თავისი ვინაობა არ გამოააშკარავა 48 ანუ 4%.

მოქალაქეებმა აირჩიეს 849, ამათგან მონარქისტი 54 ანუ 6,5%, ზომიერი 81 ანუ 9,5%, მემარცხენე 571 ანუ 67,3% ნაციონალურ პარტიისა 64 ანუ 7,5%, უპარტიო 46 ანუ 5,4%, ვინც ვინაობა არ გამოააშკარავა 33 ანუ 3,9%

მუშებმა აირჩიეს 65, ამათგან ზომიერი 2 ანუ 3,1%, მემარცხენე 39 ანუ 60%, ნაციონალურ პარტიისა 15 ანუ 23,9%, უპარტიო 7 ანუ 10,9%, ვინც თავისი ვინაობა არ გამოააშკარავა 2 ანუ 3,1%.

**კიევი**. სახ. საბჭოს წევრთა ამომრჩევლად უნივერსიტეტმა აირჩია რექტორი ციტოვიჩი და პროფესორები გულიაევი და რეფორმატსკი.

**პეტერბურგი**. არჩევნები მშვიდობიანად დასრულდა. ამრჩეველთა 60% გამოცხადდა, შარშანდელზე ბევრად მეტი. ზოგიერთ ნაწილში 75% გამოცხადდა. ქალაქის მიდამოების მცხოვრებნი, რომელნიც შარშან სულ არ მოვიდნენ, წლეულს გამოცხადდნენ.

**მოსკოვი**. ქალაქში არჩევნები მშვიდობიანად გათავდა. აგიტაცია შესამჩნევად არავის არ გაუწევია.

**პეტერბურგი**. 28 იანვრამდე გლეხების, მემამულეების, მოქალაქეთა და მუშების რწმუნებულებმა აირჩიეს 4532 ამრჩეველი. ამათგან 1161 მონარქისტი, 719 ზომიერი და 1825 მემარცხენე. ამათგან მშვიდ. განახლების პარტიისა 24, კონ.-დემ. 447, მათი თანამოაზრე 129; მშრომელ ჯგუფისა 42, სოც.-დემოკრატი 169, სოც.-რევ. 41; ნაციონალური პარტიებისა 319, სახ. უფლების პარტ. 220, ბუნდისტი 5, ლატიში ნაციონალისტი 1, სიონისტ სოციალისტი 16, უპარტიო 314. 194 ამომრჩეველმა თავისი ვინაობა არ განაცხადა. სულ მონარქისტი და ზომიერები 1880. სულ მემარცხენე 2652.

გლეხებმა აირჩიეს 1977, ამათგან მონარქისტი 636 ანუ 32,2%, ზომიერი 346 ანუ 12,3%, მემარცხენე 718 ანუ 36,2%, უპარტიო 197 ანუ 10,1%, ნაციონალისტი 81 ანუ 3,1%.

მემამულეებმა აირჩიეს 1390, იმათგან მონარქისტი 458 ანუ 32,9%, ზომიერი 383 ანუ 28%; მემარცხენე 285 ანუ 20,4%, ნაციონალისტები 156 ანუ 11,1%.

მოქალაქეებმა აირჩიეს 1065, ამათგან მონარქისტი 67 ანუ 6,3%, ზომიერი 88 ანუ 8,3%, მემარცხენე 753 ანუ 70,7%, ნაციონალისტი 65 ანუ 6,1%.

მუშებმა აირჩიეს 100, ამათგან ზომიერი 2, მემარცხენე 71, ნაციონალისტი 15, უპარტიო 8; კადეტები ნაციონალისტებ შორის 15, უპარტიო 8; კადეტები მემამულეთა შორის 74, კადეტები და მათი თანამოაზრე მოქალაქეთა შორის 365.

## ახალი ამბავი

✦ **აღკრძალვა**. 27 და 28 იანვარს ადმინისტრაციის განკარგულებით პოლიციელებმა ჩამოიარეს ტფილისის სტამბები და პატრონებს ხელწერილი ჩამოართვეს თებერვლის შუა რიცხვებამდე დასაბეჭდად არ მიიღონ ნება-დართული გაზეთები: „ჩვენი კვალი“, „ჩვენი ცხოვრება“, „ნაშრომი“, „ახალი სიტყვა“, „ცოდნა“, „ავტონომიური საქართველო“, „ნიშადური“, „ქარიშხალი“, „შუამავალი“ და სხვა.

✦ **კიდევ გაზეთების დაკეტვის შესახებ**. როგორც ვწერდით, დაიკეტა ორი რუსული გაზეთი „კავ. რეჩი“ და „მოლოტი.“ „კავ. რეჩი“-ს რედაქტორს ვერმიშევს ებრძანა, ორი დღის განმავლობაში წავიდეს საგენერალ-გუბერნატოროდან, თორემ ეტაპით გაიგზავნება. დააპატიმრეს „მოლოტი“-ს რედაქტორი. დაიკეტა „შრომი“-ს სტამბა, სადაც „მოლოტი“ დაიბეჭდა. ამის გამო „კავკაზ“-ი, რომელიც იმ სტამბაში იბეჭდებოდა, დღეს არ გამოვა.

✦ **დამშეული გლეხები და სესხი**. ტფ. მაზრის თითქმის ყველა სოფლის, გლეხებისაგან აუარებელი თხოვნა მოსდიოდა გუბერნატორს. დაზარალებული და დამშეული გლეხები თხოულობდნენ გამოსაკვებად სახელმწიფო პურის მაღაზიებიდან ხორბალს. გუბერნატორი ასეთ შუამდგომლობებს ნაპესტნიკს უდგენდა.

## ფელეტონი

### მიწის სოციალიზაცია და კოოპერაცია სასოფლო მეურნეობაში

ვ. ჩერნოვისა.

(დასასრული *)

მიწის გასაზოგადოებრივობისათვის კონკრეტიულ ფორმების არჩევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას. არის ზოგიერთი სახელმწიფო, სადაც ცენტრალურ მთავრობის მოწყობილება სავსებით არ არის დემოკრატიული. მაგალითად, გერმანიაში სახალხო წარმომადგენლობის გვერდით ფართო უფლებებით აღჭურვილი იმპერატორობითი ძალა სდგას. მათ შორის შესაძლებელია ბრძოლა, შეტაკება. ხალხის წარმომადგენლობის ხელშია ამ ბრძოლისათვის ძლიერი იარაღი: ამა თუ იმ გადასახადების ნების დართვა ან არ-დართვა. ეხლა წარმოვიდგინოთ, რომ ასეთ წეს-წყობილებაში განხორციელებულია მიწის ნაციონალიზაცია. ჰენრი ჯორჯის წინადადებისამებრ, სახელმწიფოს ხელში გადავა თვით გამგებლობა მიწის და მისი იჯარით მიცემა—თუნდაც ისე, როგორც ალფრედ როსსელ უოლლესის პროექტშია აღნიშნული. აქედან რა გამოვა? ისა, რომ უთანხმოებისა და კონფლიქტის დროს პრუსიელ-გერმანელ ნახევრად თვითმპყრობელობის ხელში აღმოჩნდება დიდ-ძალი ფული იმ მიწების შემოსავლის სახით მოგროვილი, რომელიც „სახელმწიფოს ქონებად“ იქნება ჩარიცხული.

ეს ერთი. მეორე: ძლიერ გამრავლდება სახელმწიფო მამულების მოიჯარადრეთა რიცხვი, რომელიც პირდაპირ დამოკიდებულებაში იქნება იმავ ნახევრად აბსოლიუტიურ მთავრობისაგან. ეს საშუალებას მისცემს მთავრობას ისეთი დიდი გავლენა და ძალდატანება იხმაროს ამომრჩეველთა უმრავლესობაზე, რომ სოციალ-დემოკრატებმა მიწის „გასახელმწიფება“ ძლიერ მავნებელ ზომად ჩასთვალონ. ამიტომ იყვნენ წინააღმდეგი კანიცის პროექტისა, ბისმარკისეულ თამბაქოს მონოპოლიის პროექტისა, Beichsbank'a-ს სახელმწიფო ბანკად გადაქცევისა, ბოლოს წინააღმდეგნიც ბებელისა, ლიბკნეხტის, ფოლმარის და სხვების წინადადებათა აგრარულ პროგრამებისა ბრესლავლის პარტეიტაგზე. ვანდერველდიც თავის უკანასკნელ შრომაში აღიარებს, რომ თუ სახელმწიფოში ძალა მომეტებულ ნაწილ... ...ქისა ან „მმართველ ოლიგარხეების“ ხელში იქნება, მაშინ [illegible]

ლიუტურ და მილიტარულ სახელმწიფოში სოციალისტები პირველნი აღუდგებიან წინ სახალხო-სამეურნეო ამა თუ იმ თვალ-საჩინო დარგის „გასახელმწიფოებრივობას“, რადგან „ეს განსაკუთრებით გამოყენებული იქნება ძალის მქონე და გაბატონებულ კლასის ინტერესებისათვის“.

ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ თანამედროვე რუსეთში მიწის ნაციონალიზაცია რეაქციონურ სალსრად არის მიჩნეული. დიდ სახიფათო ნაბიჯს წარმოადგენს, მაგალითად, ცნობილი პროექტი გლეხკაცობის სათემო მიწების სახელმწიფო საკუთრებად გადასვლისა იმ აზრით, რომ გლეხებმა წინანდელ სახელმწიფო გლეხებსავით გარკვეული საიჯარო გადასახადები იხადონ, გამოსასყიდი ხარჯი კი მოსპობილ იქმნას. სახიფათოა ეს იმიტომ, რომ ამ მხრივ საგლეხო თემების თავისუფლების უკანასკნელი აჩრდილიც კი მოისპობა, სამაგიეროდ გაძლიერდება ბიუროკრატიული მზრუნველობა, ძალად მაცხონეობა. თუ რუსეთის შემდეგი პოლიტიკური განვითარება თანდათანობითის, კონსტიტუციონალურის გზით ივლის და ძველი მონარქიული თვითმპყრობელობა, ერთბაშად არ დაინგრევა, შეიძლება რუსეთის სოციალისტებს [illegible]

თემების თავისუფლების დაცვა სახელმწიფოს ძალდატანებით მოვლენისაგან, თუმცა პრინციპიალურად, რასაკვირველია, ყველაზე გონივრული ის იქნება, რომ სახალხო თვითმართველობათა უმაღლესი დაწესებულებანი დაბალ დაწესებულებების ზედამხედველობას, კანტროლს უწევდნენ. ამ ზედამხედველობის მიზანი ის იქნება, რომ მცხოვრებთა სხვა და სხვა ჯგუფებს შორის გათანასწორდეს ყოველგვარი ღირსება-ნაკლულოვანება.

ეხლა ადვილი გასაგებია, სოციალისტ-რევოლიუციონერების პროგრამაში რატომ არ არის მიღებული პოპულიარული სიტყვა „ნაციონალიზაცია“ და ამის ნაცვლად ნახმარია „სოციალიზაცია“. ეს წინდაწინვე არ აღნიშნავს მესაკუთრეობის უფლებათა ცენტრალურ მართველობის ხელში გადასვლას. შესაძლებელია, რომ ცენტრალური მმართველობა ჯერ კიდევ ძლიერ დაშორებული იყოს ხალხზე, რათა მშრომელ და მებრძოლ გლეხკაცობის ინტერესები უკეთესად უზრუნველჰყოს, რაიცა შეუძლიანთ გააკეთონ თვითმართველობათა წვრილ ორგანოებს—თემებს და თემების ტერიტორიალურ კავშირებს, გადაკეთებულ ერობის ანუ სამმასახლისო საზოგადოების სახით.

რუსეთის სოციალისტები პროგრამა-

მინიმუმის შემუშავებაში, დასავლეთ-ევროპის სოციალისტებთან შედარებით, თავისებურ მდგომარეობაში არიან. ისინი სავსებით გამორკვეულ პოლიტიკურ პირობების დაგვარად მუშაობენ და საზღვრავენ თავიანთ მოთხოვნილებებს. ჩვენ კი გამოცალკავებულნი ვართ კანონმდებლობის მსვლელობის გავლენისაგან. ის სახელმწიფო წესწყობილება, რომელიც თვითმპყრობელობის შემდეგ დამყარდება და რომლის დროსაც შევვეძლება გავლენა მოვიპოვოთ. ამიტომ ჯერ-ჯერობით ადრეა დაწვრილებით გამოვარკვიოთ ხასიათი ჩვენის მომავალ სახელმწიფო მოქმედებისა, რათა სრულიად უნიადაგო პროექტორობაში არ ჩავცვივდეთ. ასეთი პროექტორობა ისედაც ძლიერ [illegible]. სადგილ-მამულო საკითხში ჩვენი [illegible] მხოლოდ ერთი უნდა იყოს.

საადგილ-მამულო საკითხის გადაწყვეტა-გაწესრიგებაში, სოციალიზმის გასამეფებლად და ბურჟუაზიულ საფუძველთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ს.-რევოლიუციონერთა [illegible] სურს დაემყაროს რუსეთის გლეხკაცობის თემურ და შრომის შეხედულობაზე, განსაკუთრებით გლეხ-კაცობაში გავრცელებულ რწმენაზე, რომ მიწა არავისი არ არის, რომ მიწით სარგებლობის უფლე-

ეხლახან ნამესტნიკის კანცელარიიდან გუბერნატორს ცნობა მოსვლია ამ საქმის შესახებ. ნამესტნიკს უბრძანებია, რადგან, საინტენდანტო გამგეობის ცნობებით, კავკასიის ჯარისთვის ბევრი პური საჭირო, პური სესხად მიეცეთ მხოლოდ იმ გლეხებს, რომელთაც არავითარი სარჩო ცხოვრებისა არ გააჩნიათ. ამ აზრით უნდა შეკრებილ იქმნას ცნობები გლეხების მდგომარეობის შესახებ. ამ ცნობების შეკრება გუბერნატორმა მაზრის ადმინისტრაციას დაავალა.

◆ **არამიანცის შვილი.** როგორც ვწერდით, იპოვნეს არამიანცის შვილი, რომელიც დატყვევებული ეგონათ. რადგან არამიანცს, გიმნაზიის მოსწავლეს, რევოლვერი აღმოაჩნდა, ტფ. გენ.-გუბერნატორმა სამი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

◆ **გადასახლება და გაძევება.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, შემდეგი პირები, რომელთაც არხანგელსკისა და ოლონეცკის გუბერნიებში გაგზავნა ჰქონდათ გადაწყვეტილი, ხუთ-ხუთის წლით ვიატკის გუბერნიაში ჰგზავნიან: დიმიტრი და ირადიონ ხვედაგურიძენი, ილია კანდელაკი, ანტონ კონსტანტინოვი, მიხეილ ბებუროვი, ალექსანდრე დემუროვი, ნიკა გორდან-ოღლი და ისონ შუშანაშვილი. ტფ. საგ.-გუბერნატორიდან ეტაპით იგზავნება ლეჩხუმელი ისიდორე ხმელიძე.

◆ **მკვლელობა.** პოლიციის 1 ნაწილში 28 იანვარს შემდეგი მკვლელობა მოხდა: გაბაევის ქუჩაზე, ტერ-ოჰანეზოვის სახლში მცხოვრებ მარიამ სიპიანცთან სტუმრად ჩამოსულან ამ დღეებში ალექსანდროპოლის მცხოვრებნი სომეხთა მთავარ-დიაკონი მიკირტიჩ კარაპეტიანცი, არტაშეს არხუნდენი და ამბარცუმ ვართანოვი. 28 იანვარს იმასვე სწვევია „გოროდოვოი" სოფ. მეჯვრისხევის მცხოვრები ოსი მიხეილ ჯიოშვილი. თან შეჰყოლია ბარბარე პისოჩენკოსი. სტუმრები დამსხდარან სადილზე, რომლის დროსაც ჯიოშვილს შეუნიშნავს, რომ პისოჩენკოს ქალს მთავარ-დიაკონი ეარშიყებოდა. პოლიციელს დაუშლია. როცა საღამოს 8 საათზე გამოსულან ქუჩაში, ჯიოშვილს ამოუღია რევოლვერი და დაუხლია კარაპეტიანცისათვის. შემდეგ უძვრია ხანჯალი, მივარდნია პისოჩენკოს ქალს და 25 ჯერ ჩაუკრავს. დაჭრილი კარაპეტიანცი და პისოჩენკო მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს, სადაც იმავე საღამოს კარაპეტიანცი გარდაიცვალა. როგორც ამბობენ, არც ქალი გადარჩება. ამას შემდეგ ჯიოშვილი გაიქცა ვერის დაღმართისკენ, მაგრამ დაიჭირეს, იარაღი აჰყარეს და პოლიციაში წაიყვანეს.

◆ **ლოლაძის მოკვლის გამო.** განჯაში, სადაც მოკლეს „ოხრანი" განყოფილების აგენტი ლოლაძე, ადგილობრივ გენერალ-გუბერნატორის ბაუერის გადაწყვეტილებით, დაკეტა 40 დუქანი და მაღაზია; ამას გარდა მათი პატრონები სამ-სამი თვით დაპატიმრებულ იქნებიან. 3000 მან. ჯარიმა შეეწერა ქალაქის იმ ნაწილს, სადაც სომხები სცხოვრობენ. ამათვე შეეწერა მოკლულების დასამარხი ფული 300 მან., მოკლულ მეეტლის სახლობის სასარგებლოდ 300 მან., მოკლულ ცხენის ფასი 600 მან., გაფუჭებულ ეტლის შესაკეთებლად 100 მან.; მეორე მოკლულ მეეტლის სახლობის სასარგებლოდ 500 მან., იმის გაფუჭებულ ეტლის შესაკეთებლად 30 მ., დაჭრილ ინგუშის საექიმოდ 300 მან., ხოლო თუ ინგუში მოკვდა, იმის ოჯახის სასარგებლოდ 600 მან. შემთხვევით გამვლელ და დაჭრილ ისმაილ ოღლის საექიმოდ 300 მან., და ერთ ბორჩალოელ მეცხვარის სასარგებლოდ, რომელსაც ამ დროს 38 მან. ცხვარი დაუკარგავს, 200 მან., ეს ფული ცხოვრებთ უნდა გადაიხადონ 31 იანვრამდე. წინადაც შეუწერიათ მცხოვრებთათვის, მაგრამ დღემდე არ გადაუხდიათ. ეხლა გენ.-გუბერნატორმა მოითხოვა ის შეწერილი ფულიც 31 იანვრის 12 საათამდე გადაიხადონ. თუ არ გადაიხდით, აცხადებს გენ.-გუბერნატორი, ეგზეკუციას ჩავაყენებ მთელ სომხის ნაწილში და მოვკრებ შეწერილ ფულსაო.

◆ **სხდომა არ შესდგა.** 26 იანვრისთვის გუბერნატორის თავმჯდომარეობით, სხდომა იყო დანიშნული საგუბერნიო საგლეხო საკრებულოში მემამულეთა და გლეხთა სადავო საქმეების გასარჩევად. თუმცა უწყებები დაეგზავნათ, მაგრამ ზოგიერთი გლეხი და მემამულე არ გამოცხადდა.

◆ **ღალების ამკრეფი კომისიის დადგენილებანი.** ღალების ამკრეფმა კომისიამ დუშეთის მაზრაში დაასრულა მოქმედება და დაბრუნდა ტფილისში. სულ კომისიას მემამულეთაგან მიუღია 130 განცხადებაზე მეტი. კომისიას ეს განცხადებანი თავის დადგენილებით პოლიციისათვის გადაუცია აღსასრულებლად.

◆ ახალციხის მაზრის მეორე განყოფილების მომრიგებელ შუამავლად ნაცვლად მურავიოვისა, რომელიც ნამესტნიკის განკარგულებით სამსახურიდან გადაყენებულ იქმნა, დაინიშნა ევგენი როდზევიჩი.

◆ სიღნაღის მაზრის, ველისციხის სოფლის საზოგადოებას შუამდგომლობა აღუძრავს უმაღლესს მთავრობის წინაშე, რომ სამის წლის ვადით გადაუდოთ სახელმწიფო და საერობო გადასახადების გადახდა, რადგან უკანასკნელ წლებში ძლიერ დაზარალებულან მოუსავლობით.

◆ პოლიციის 1 ნაწილში 28 იანვარს მეპურეს ილია ეტმაზნიანცს საღამოთი შევარდნია 6 შეიარაღებული კაცი და მოუთხოვნია ფულები. უცნობებს გაუტეხიათ ყუთი, ამოუღიათ 65 მან. და ვერის ბაღებისაკენ მიმალულან.

## პროვინციის ცხოვრება

**ზემო ნიქოზი** (ქართლი). არა, არ სცხრებიან შავ რაზმელები და თავიანთ სიმხეცეს მაინც არ იშლიან. ამ თვის 21-ს ხუთი კაცი თავს დაეცა ნამღვდლევის ალ. კასრაძის ოჯახობას. რაც კი რამ ხელთ იგდეს, საკერავი მაშინა თუ საცვლები, თან წაიღეს. ეს რაინდები მოულოდნელად შევიდნენ იმ დროს, როდესაც ყველას ეძინა. „კარი გაგვიღეთ, გვცივა, გაგვათბეთ ყარაულები ვართო" და კარის გაღების უმალ ხმალ ამოღებულნი ეცნენ საწოლებს. დედაკაცს, ასე 82 წლისას, დაუწყეს უწყალოდ ცემა: ჩქარა გვითხარით, სად არის მღვდელი და ფოფოდიაო. წამოაგდეს 8 წლ. გოგო, დააჭირეს ხანჯალი, გვასწავლე სად არიანო. როდესაც დარწმუნდნენ, რომ იქ არ იყვნენ, შეუდგნენ ძარცვას. წაიღეს ყველაფერი, რის წაღებაც კი შეიძლებოდა. მეორე დღეს მთელი სოფელი ყალეს დადგა და მამასახლისის დახმარებით ორი ტატიშვილი, კოტე და ვარდო, დაიჭირეს, იარაღი აჰყარეს და ცხინვალში გაგზავნეს.

დიახ, დრონი მეფობენ და ამისთანა რაინდებსაც დრო დაუდგათ. ნეტავ ვიცოდე, რას ერჩოდნენ საცოდავ ალექსანდრე კასრაძეს, რა ნახეს მასში? ნუ თუ არ კმაროდა ის, რაც წინად დაემართა? ცხინვალში სახლები სულ გაუნადგურეს, რომელიც მის ქვრივ დედას ეკუთვნოდა და ამით აცხოვრებდა თავის წვრილ-შვილს 6-ს ქალს და ხუთ ვაჟს; ესეც არ აკმარეს და ზ. ნიქოზშიც ჩაეჭრნენ, იქ ცოლის სახლები დაანგრიეს, დაიჭირეს მღვდელი ალექსანდრე და [illegible] გუბერნიაში გადაასახლეს. დღეს ანაფორა გახდილს, უპადოს და წვრილშვილს ეს რაინდები აღარ ინდობენ.

**ჭილყვავი.**

**ზემო ქართლი.** ყველა სოფლის საზოგადოებაში ადმინისტრაციამ თავის სურვილისამებრ მამასახლისები დანიშნა. თვითეულ მამასახლისს 5—10 სტრაჟნიკამდის ჰყავს. ამ ახლად მოვლენილ მამასახლისებს ადამიანობის ნიშან-წყალიც კი არ აცხიათ. არავის არ ინდობენ, არავის მდგომარეობაში არ შედიან; ამათთვის სულ ერთია კაცი, ქალი, მოხუცი, პატარა, ავად-მყოფი. მამასახლისებად მომეტებულად ოსები არიან. ამ ბოლო დროს თავად-აზნაურობაც ჩაერია ამ ხელობაში. მამასახლისად გინდათ, სტრაჟნიკად და სხვა ამ გვარ მოხელედ, ყველა თანამდებობაში უდგიათ ფეხი.

გორის მაზრის ადმინისტრაციამ ბრძანება გამოსცა, რომ ყველა სოფლებში დღე და ღამე გლეხებმა ყარაულები გამოიყვანონ. ამასთან სოფლებში უპასპორტოდ არავის უშვებენ. სტუმარი რომ მოუვიდეს ვინმეს, ორი დღის მეტს ნებას არ აძლევენ, რომ თავის მოკეთესთან დარჩეს. ხალხი უკმაყოფილოა ამ განკარგულებისა, მაგრამ ვინ რას ჰკითხავს, სადაა ხალხი?

ამას წინად სოფ. ავლევში აქაურ მამასახლისს შეჰხვდა ტფილისიდან აქ სტუმრად მოსული პალტოიანი მუშა. მამასახლისმა ეჭვის თვალით შეხედა ამ პალტოიანს და მოჰკითხა ვინაობა. მუშამ ხმა არ გასცა და თავის გზას გაუდგა. მამასახლისმა იძრო რევოლვერი და დაუყვირა: „დადექი, თორემ გესვრიო". მუშას შეეშინდა და გაიქცა. გავარდა რევოლვერი და მუშა მუხლში დაიჭრა. დაიჭირეს. შემდეგ როცა დარწმუნდნენ მის ვინაობას, გაანთავისუფლეს.

ვითომ, როგორც ამბობენ, ამ დროს ავლევის მღვდელი ნასარიძე გარედ მდგარა, ამ ამბის დანახვაზედ შეშინებია, სახლში შევარდნილა (ცოლშვილი შინ არ ჰყოლია), გული შესწუხებია და გარდაცვლილა.

19 იანვარს ეს ზემოხსენებული მამასახლისი თავისი ოთხი სტრაჟნიკით სოფ. ოქონაში მივიდა. იასაულს მოსთხოვა ყარაულები და დაუწყო გამათრახება, რატომ სოფლის პირში ყარაულები არ დამახვედრე და ან სად არიანო. იასაულმაც უჩვენა, ვისი რიგიც იყო ყარაულობისა. მამასახლისი თავის სტრაჟნიკებით კარგა ღონივრად გაამათრახა. ამის დანახვაზედ ყველას შეეშინდა — ქალს, კაცს, ბავშვს, ზოგი გომურ ქვეშ დაიმალა, ზოგი საბძელში, ზოგი ჩალებში შეძვრა.

ამავე დროს სოფ. აბისში დამსჯელმა რაზმმა დააპატიმრა ცამეტი კაცი. ამათ აბრალებენ თავ. ამირეჯიბების სახლის დაწვას. ამასთან ადმინისტრაციამ თითო კომლს ამ დაწვის გამო ჯარიმად გადახდევინა ხუთ-ხუთი მანეთი.

საზოგადოდ ქართლში გლეხი დიდ ტანჯვას განიცდის. გლეხების სახეზე ყიმილობა, ტანჯვა-ვაება იხატება. ადამიანის სახე არა აქვთ, ფერი დაჰკარგვიათ, კვნესის და ოხრავს და ბევრი სიკვდილსაც ნატრულობს.

Legatus.

## რუსეთი

◆ **პეტერბურგის გრადონაჩალნიკის მკვლელობის შესახებ.** საიდუმლო პოლიციის აგენტებს გამოუკვლევიათ, რომ გრადონაჩალნიკის მკვლელისათვის სარევოლიუციო ორგანიზაციას გადაუცია მოსაწვევი ბარათი ეკკლესიის კურთხევაზე დასასწრებლად, სადაც მხოლოდ წარჩინებულ მოხელეებს უშვებდნენ განსაკუთრებულის ბარათებით. სარევოლიუციო ორგანიზაციის მოუსყიდია „ოხრანი"-ს ერთი აგენტი 30 ათას მანეთად და ამ აგენტმა ჩაბარა სტოლიპინისათვის დანიშნული უსახელო მოსაწვევი ბარათი. სტოლიპინი კი მოულოდნელობის გამო ვერ დასწრებია ეკკლესიის კურთხევას. მოსყიდული აგენტი საზღვარ გარედ გაპარულა.

◆ **გურკოს საქმე.** გურკომ წარუდგინა თავისი განმარტება სახელმწიფო საბჭოს. იგი იმდენად თავს არ იმართლებს, რამდენადაც ბრალს სდებს იმისი საქმის გამომრკვევ გოლუბევის კომისიას, უსამართლოდ მექცევა, ჭეშმარიტებას არ არკვევს, მოწმებისათვის ჩვენება არ ჩამოურთმევია და ისეთი [illegible], რომ მთელ რუსეთში შემარცხვინაო. ბოლოს გურკო თხოულობს, საჯაროთ გამასამართლეთო, თხოულობს იმ დროს, როცა იმისი დანაშაული იმდენად გამოირკვა, რომ საქმე უეჭველია გადაეცემა სასამართლოს. ამგვარის ტონით გურკოს სურს დროებით მაინც ვითომ და თავი იმართლოს ხალხის წინაშე: აი რა პატიოსანი კაცი ვარ, თვითონ მე მოვითხოვე ჩემი თავის განსამართლებაო.

◆ **დაცვის განყოფილების აფეთქების განზრახვა.** ამას წინად ვაუწყეთ მკითხველებს, რომ საიდუმლო შეთქმულობა ტერორისტებისა აფეთქებას უპირებდა პეტერბურგში დაცვის განყოფილებას იმ დროს, როცა იქ წარჩინებული მოხელეები იქნებოდნენ თავ-მოყრილნი. ამ საქმის გამო დატუსაღებულია 9 კაცი, რომელთა შორის 3 [illegible] მოხელეებად ნამყოფნი არიან. ჩხრეკის დროს იმათ ჯოჯოხეთის მანქანის მოწყობილობა [illegible] ჯერ-ჯერობით ვერ აღმოუჩენიათ. [illegible] ში ჩაუგდიათ [illegible] დან სჩანს, რომ შეთქმულთ განზრახვა ჰქონიათ ეს მანქანა დაცვის განყოფილების სარდაფში დაედგათ.

◆ **არჩევნებისათვის მოსამზადებელ კრებების აკრძალვა.** რუსეთის გაზეთებს სხვა და სხვა მხრიდან მოსდის ცნობები ადმინისტრაციის გულ-მოდგინე მოღვაწეობის შესახებ არჩევნების წინ-და-წინ კრებების დასაბრკოლებლად. ადმინისტრაციის წარმომადგენლებს სიბრმავე ხშირად სასაცილო მდგომარეობაში აგდებს იმათ. სხვათა შორის ქ. ტამბოვში კადეტების კრებას დაესწრო ადგილობრივი ბოქაული და აკრძალა ლაპარაკი ამ პარტიის პოლიტიკური პროგრამის შესახებ. როცა დამსწრენი არ დაემორჩილნენ, ბოქაულმა დახურა კრება. იგივე ბოქაული დასწრებია შემდეგ „17 ოქტომბრის პარტიის" კრებას, რომელსაც მთავრობა ლმობიერად ეკიდება. კრებაზე დიდ-ხან ულაპარაკნია „კადეტების პარტიის" ერთ ორატორს კადეტების პოლიტიკური პროგრამის შესახებ, მაგრამ ბოქაულს, უვიცობის გამო, იგი „17 ოქტომბრის პარტიის" წევრებად ჩაუგდია და ხელი არ შეუშლია იმისათვის.

◆ **სამი გუბერნატორის საყურადღებო შეთანხმება.** გუბერნატორებისათვის მინიჭებული უფლება გუბერნიის საზღვრებიდან პოლიტიკურად საეჭვო პირთა გადევნისა ზოგჯერ უხერხულ მდგომარეობაში აგდებს თვით ამ გუბერნატორებს. ამას წინად ვიატკის გუბერნატორს გადაუსახლებია თავისი გუბერნიის საზღვრებიდან 50-მდე კაცი, სტატისტიკოსები, ნასწავლი მეურნეები, ექიმები, მასწავლებლები, რედაქტორები და სხვ., თითქმის ყველანი საერობო მოღვაწენი. განდევნილნი უმრავლესად მეზობელ გუბერნიაში მიდიოდნენ საცხოვრებლად, ამ მეზობელ გუბერნიიდან დევნილნი კი ვიატკის გუბერნიაში იხიზნებოდნენ. ამ გარემოებამ მწარედ დააფიქრა თურმე სამი მეზობელი გუბერნატორი და იმათ ამ ბოლო დროს საყურადღებო შეთანხმება — „ბლოკი" შეუკრავთ და გადაუწყვეტიათ: პოლიტიკურად საეჭვო კაცები ამიერიდან ისე განდევნონ, რომ ამ სამი გუბერნიის საზღვრებში ცხოვრება აუკრძალონ.

◆ **სიკვდილით დასჯილთა რიცხვი.** სამხედრო-საველე სასამართლოებს, რუსეთის გაზეთების გამოანგარიშებით, 16 იანვრამდის სიკვდილით დაუსჯიათ 690 კაცი.

◆ **გულ-უბრყვილო შავ-რაზმელები.** ხერსონის გუბერნიის ქ. ალექსანდრიიდან შავ-რაზმელთა კრებას, თავმჯდომარის, ქალაქის მოურავის წინადადებით დეპეშა გაუგზავნია სტოლიპინთან: აქაური მცხოვრებლები მთავრობის მოწინა-

---

ზას ადამიანს მხოლოდ შრომა აძლევს. თანახმად თავისის საზოგადო შეხედულებისა, პარტია მედგრად მოითხოვს მიწის გასაზოგადოებრიობას, ესე იგი იმის ყიდვა-გაყიდვის მოსპობას, და სხვა და სხვა პირთა ანუ ჯგუფთა კერძო საკუთრებიდან საზოგადო სახალხო საკუთნოდ გახდომას შემდეგის პირობით: ყოველგვარი მიწა გადავა სახალხო თვითმმართველობათა ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოების გამგებლობის ხელში, დაწყებული დემოკრატიულად მოწყობილ უწოდებრივო სოფლის და ქალაქის თემებიდან და გათავებული საოლქო და ცენტრალურ დაწესებულებით (გადასახლ-გადმოსახლება, მიწის ფონდის გამგებლობა და სხვა.). მიწით სარგებლობა დამყარებული იქნება იმაზე, თუ საკუთარის შრომით და ძალღონით რამდენი შეუძლიანთ დაიმუშაონ ცალ-ცალკე ან ამხანაგობაში. ღალა, როგორც სპეციალური გადასახადი საზოგადო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად, იქნება გადადებული. იმ მიწა-წყლით სარგებლობა, რომელსაც ვიწრო ადგილობრივი მნიშვნელობა არა აქვს (დიდი ტყეები, სათევზაო ადგილები და სხ.) თვითმმართველობის მაღალ ორგანოების ხელში იქნება. მიწის გულში დამარხული სიმდიდრე სახელმწიფოს ეკუთვნის. მიწა საზოგადო სახალხო კუთვნილებად გადაიცემა გამოუსყიდველად. ვინც ამ ქონებრივ განახლების დროს დაზარალდება, იმას უფლება ექნება მოითხოვოს საზოგადო დახმარება იმ დრომდე, სანამ ცხოვრების ახალ პირობებს შეეწყობოდეს.*)

რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების განვითარებას, ასეთი მოთხოვნა მიწის გასაზოგადოების მოთხოვნის ბუნებრივი დამატებაა. სოციალისტურ პარტიების აგრარული პროგრამები და აგრარული ტაქტიკა ამტკიცებენ, რომ კოოპერატიული მოძრაობა თავისუფალ სახელმწიფოში, სოციალისტურ პარტიების ხელმძღვანელობითა და ზეჩაგონებით, ნამდვილად მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლის ინტერესებს ემსახურება. ამ მოძრაობის იდეიური მიდრეკილება შეაქვს ამ კლასში და აფარავს ბურჟუაზიულ, ჩარჩულ შხამ გესლისაგან. ამ რიგად სოციალისტები სრულებით არ აზვიადებენ თანამედროვე კოოპერატიულ მოძრაობას. ეს ტაქტიკა თვით იტალიაშია მიღებული, სადაც კოოპერაციების წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატთა შორის დიდი უკმაყოფილება იყო. „ჩვენ, იტალიელნი — მოწმობს კლოვდი ტრევსი: — ბოლო დრომდე სიძულვილს ვგრძნობდით კოოპერაციებისადმი. ჩვენ არ გვეგონა, რომ მათ კაპიტალისტურ კონკურენციაში რაიმე ბრძოლის გაწევა შეუძლიანთ. გვეგონა, რომ კოოპერაციების საშუალებით მხოლოდ მრავლდებოდნენ კერძო მესაკუთრენი, რომელნიც თავს შორს დაიჭერდნენ ეკონომიურ და პოლიტიკურ მოძრაობის დიად მიზნებისაგან. მაგრამ ამ დოქტრინალურ შეხედულების წინააღმდეგ ლაღადებენ თვით ფაქტები და ის ნაყოფი, რაიცა ჩვენის ამხანაგების სოფლად მოღვაწეობას მოჰყვა: ისინი კერძო მესაკუთრეთ ჩვენს იდეალებამდის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა საშუალებით მიჰყავდათ. მთელი მონფერატოს და ლანგეს მხარე ჩვენი გახდა და თავგანწირული მომხრენი შეგვძინა. ამ კუთხის ორატორები ამბობდნენ კონგრესზე: „სხვა და სხვა დამზღვევ მანქანების საზოგადო სახმარებელ და სხვა ამხანაგობათა წყალობით მოვინადირეთ სოფელიო".

კოოპერაციებს შემაკავშირებელ მნიშვნელობის გარდა შეუძლიანთ შიგ სოფლის თემში გააჩაღონ ბრძოლა მსხვილ მესაკუთრეების წინააღმდეგ, შეაწერონ და აკრიფონ საადგილ-მამულო ღალა, მემამულეებსა და ჩარჩებს კი ჩამოართვან თემის საკუთრებად მიწები; ყოველსავე ამას შეუძლიან კლასობრივ ბრძოლის გაღვივება და გამწვავება მშრომელ გლეხკაცობის შორის მყვლეფელთა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ. შეუძლიან მშრომელი გლეხ-კაცობა შეაერთოს სოფლისა და ქალაქის პროლეტარიატთან და ხელი შეუწყოს მას სოციალიზმის აზრებით გაიმსჭვალოს. აი ამიტომ არის, რომ დასავლეთ-ევროპის სოციალისტურ პარტიების აგრარულ პროგრამებში ასეთი დიდი ადგილი უჭირავს მიწის საკუთრების გასაზოგადოებრიობას და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციების განვითარებას; აი ამიტომ, საერთაშორისო სოციალიზმის თანახმად, რუსეთის სოციალისტ-რევოლიუციონერების პარტიაც თავის აგრარულ პროგრამაში ამ ძირითად მოთხოვნას აყენებს წინ. ამიტომ ნათქვამის შემდეგ „ყველასათვის, ვისაც სემინარიაშიაც კი არ უსწავლია" მთელის სიგრძე-სიგანით გამოიჭიმება მარქსისტების უშველებელი შეუფერებელი დაჟინება, ვითომ „პროგრამმა-მინიმუმში მიწის სოციალიზაციის და კოოპერაციის ერთად მოთავსება" ნიშნავს ბაბეფისა და ლევიტსკის შეერთებას, „კლასიურ ბრძოლაში მონაწილეობის მიღების მაგიერ მოდურ საშუალების ხელის მოკიდებას", რითაც ვითომ ჩვენს თავსაც ვატყუებთ და გლეხკაცობასაც (თითქოს კოოპერაციებს რევოლიუციონურ როლი შესრულება და კოლლექტივიზმის მომზადება კი არ შეეძლოთ, არამედ სოფლის ბურჟუაზიის გამაგრება).

მაშასადამე, ვანდერველდე, რომელიც ბელგიურ სოციალისტურ სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა კავშირის პრეზიდენტია, ბელგიელი ლევიტსკი ყოფილა. ენრიკო ფერრი, რომელიც ამ მოძრაობის შესასწავლად ბელგიაში იყო და რომელმაც იგი ლომბარდიაში გადანერგა, აგრეთვე იტალიანელი ლევიტსკი ყოფილა. ესენიც, ატყუებენ რა გლეხკაცებს, მხოლოდ სოფლის ბურჟუაზიის გამაგრებას სცდილობენ. ამ აზრის თქმამდის ხომ ჯერ სხვა არავინ მისულა. თვით კაუცკიც კი, რომელიც კოოპერაციათა შესახებ მოწინააღმდეგეთა ბანაკს ეკუთვნის, აღიარებს, რომ „თვითეულ ქვეყანაში კოოპერატიულ მოძრაობას არა უმნიშვნელო როლი შეუძლიან ითამაშოს მაშინ, როდესაც პროლეტარიატთან ერთად მუშათა კლასი განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაერევა სახელმწიფოსა და თემში ძალა-უფლების მოსაპოვებლად და სხვა და სხვა დარგის მრეწველობის გასაფართოვებლად, რომელიც მის ხელში და გამგებლობის ქვეშ იქნება".

ე. მ—შვილი.

*) პროგრამა ს.-რევ. პარტიისა, დამტკიცებული 1906 წ. კრებაზე.

ააღმდეგე ამომრჩევლების არჩევას აპირობენ და გთხოვთ განკარგულება მოახდინოთ, რათა ჩვენ ქალაქში არჩევნები აკრძალული იქნას და ამრჩევლები მ ოავრობამ დანიშნოსო.

✦ **საზარელი ბოროტ-მოქმედება.** ამ ბოლო დროს გამორკვეულა, რომ სამხედრო-საველე სასამართლოს დადგენილებით ოდესაში 19 იანვარს ჩამოუხრჩვიათ სრულიბით უდანაშაულო ორი ძმა ტრუგერი, ორენბახი და გრეიგერმანი. იმათ არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში და ტერორისტულ მოქმედებაში მონაწილეობა არ მიუღიათ. სხვა მდგმურებთან ერთად გაქცეულან იმ სახლიდან, საიდანაც ყუმბარა ისროლა ვიღაცამ, შემდეგ პოლიციელთა ხელში ჩავარდნილან, რომლესაც ტერორისტებად წარუდგენიათ და სამხედრო-საველე სამართალში მიუციათ ისინი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში დაგვისტამბოთ შემდეგი:

ჩვენ, ბ-ნთ ნესტორ მხეიძის და მახარობელ კვაჭაიძის მედიატორეები შევიკრიბეთ 31 დეკემბერს 1906 წ. დაბა ლანჩხუთში და შეუდექით იმ ბრალდების გამოძიებას, რომელსაც სდებდა „დროებით ლანჩხუთელი“ ბ-ნ ნესტორ მხეიძეს „მეგობის“ № 36-ში. ამავე დღეს დავიწყეთ მხარეების მიერ დასახელებულ მოწმეების შეკითხვა, რომელიც გაგრძელდა 2, 3 4 და 14 იანვრამდის. მოწმეების ჩვენებით «კავკასიის სააბრეშუმო სადგურის» ბიულეტენების Terraie, Payen et C-ie ცნობებიდან გამოგვყავს შემდეგი დასკვნა: არ დამტკიცებულა, რომ ბ-ნ ნესტორ მხეიძის განზრახ ნაკლებ ფასში გაეყიდოს პარკი, ან ქრთამი აეღოს. მხოლოდ ცხადია, რომ პარკი გაიყიდებოდა მეტ ფასში (რომ ხალხი არ აჩქარებულიყო).

შენიშვნა: შეკრებილი მასალა აბარია ბ-ნ იაკინთე კალანდარაშვილს, მსურველს შეუძლიან, თუ საჭიროდ დაინახავს საქმის ვითარების გასაგებად ისარგებლოს 30 აპრილამდის მდგომარე წლისა.

მედიატორეები: **იაკინთე კალანდარიშვილი, ამბერკი ბურჯანაძე, პორფი იმნაძე, მ. გვიმბარაულიძე, პლ. ჭყონია.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 იანვარი.

**ლორიანი** (ბრეტანი). ნალმიანს ნავზე № 339 ქვაბი გასკდა. 11 კაციდან 9 საშინლად დაითუთქა და იქვე მოკვდა. მეათე ძლიერ დაშავდა.

**კატანცარო-მარინა** (სიცილია). აღმოსავლეთიდან საშინელი გამანადგურებელი ქარ-ბუქი ამოვარდა. ბევრი სახლი დააქცია. ერთი კაცი მოკვდა. შვიდი დაშავდა. ჯარი და მთავრობა საშველად მუშაობენ. საშიშ შენობებიდან ხალხი გამოჰყავთ. აიდარია.

**დამშტადტი**. პოლიცია რუს სტუდენტებს ერეკება, რადგან არჩევნების დროს ისინი სოც.-დემოკრატების სასარგებლოდ აგიტაციას ეწეოდნენ.

**ლოძი**. ვალზევსკის ქუჩაზე ტრამვაის მიმავალ ვაგონიდან ვიღამაც ვაგონის დერეფანზე მდგომ დრაგუნის პოლკის ვახ ისტრს რევოლვერი ესროლა და მოჰკლა. მკვლელი ვაგონის ფან რიდან გადახტა და მიიმალა.

**პოლტავა**. ოლქის სასამართლომ 13 გლეხს 8 თვით სატუსაღო მიუსაჯა. იმათ თავად კოჩუბეის ეკონ მიაში გაფიცვის მოხდენა ჰბრალდებათ.

**ეკატერინოსლავი.** ნიკოპოლიდან 20 ვერსის მანძილზე ლამე შეიარაღებული კაცები თავს დაესხნენ ხუტორს საველოს. ყველანი შეჰკრეს, სახლის პატრონი და მოსამსახურენი მძიმედ დასჭრეს, 160 მანეთი მოიტაცეს და სახლის პატრონისავე ცხენებით წავიდნენ.

**ლიბავა.** კურლიანდიის მემამულენი ჩრდილო რუსეთიდან გერმანელებს იწვევენ და კურლიანდიაში ასახლებენ. უკვე რამდენიმე ათეული ოჯახი გადასახლდა.

**პენზა**. გუბერნატორის მკვლელი ანატოლ გიტტემანი ინჟინერის შვილია, ებრაელი. სარატოვიდან 16 იანვარს ჩამოსულა და კერძო სახლში დაბინავებულა.

**პარიზი.** ჟორესმა პალატაში სიტყვა წარმოსთქვა და საფრანგეთის საკრედიტო დაწესებულებები ძლიერ გაჰკიცხა,— რუსეთის შინაურ საქმეებში ერევიანო. ჟორესმა განიხილა რუსეთის მრეწველობის მდგომარეობა და აღნიშნა რუსეთის მთავრობის სახელმწიფო ბანკის უკანასკნელი მოქმედება. შემდეგ ჟორესმა რუსის მთავრობას თვალთ მაქცობა უსაყვედურა. რუსის მთავრობამ იმ აზრით, რომ როგორმე ფული ეშოვნა, საფრანგეთ რუსეთის ბანკი დაარსა, ვითომ და რუსეთის რკინის გზების გასაძლიერებლად, ნამდვილად კი ეს ბანკი რუსეთის მთავრობას სისხის საქმეში ემსახურებოდა. გულ მტკივნეულობა უნდა განვაცხადო, სთქვა ბოლოს ჟორესმა, რომ პალატის ერთი წევრი სარგებლობს თავისს გავლენით და რუსეთის რეაქციას სისხის შოვნაში ხელ უწყობს. ვისურვებ, რომ თავისუფალი რუსეთი იყოს გულითადი მეგობარი საფრანგეთისა. (ტაში ცემაა). გააფრთხილეთ ჩვენი ფინანსისტები, რომ უბედურება თავიდან ავიცილოთ, დაამთავრა ჟორესმა.

**პენზა**. გუბერნატორის მოკვლის მიზეზად ახლახან საიდუმლო ბინის გაჩხრეკას და ყუმბარების ლაბორატორიის აღმოჩენას ასახელებენ. გუბერნატორი თავს არ უფრთხილდებოდა და მარტოდ-მარტო დადიოდა.

**ტვერი**. მძიმედ დასჭრეს საპატიმროს უფროსი ზვერიევი. რევოლვერი ოთხჯერ ესროლეს.

**პეტროპავლოვსკი**, სადგურ მაკუშინოს მახლობლად ორი სახ ლხო მატარებელი ერთმანეთს დაეჯახა. როგორც დამსწრენი ამბობენ, მოკლულია 6 კაცი. ბევრი დაშავდა.

**პეტერბურგი.** სამართალში მისცეს სახალხო-სოციალისტურ პარტიის საორგანიზაციო კომიტეტის წევრები. მათ შორის არიან: ანენსკი, ტანი, ლუტუგინი, მიაკოტინი, პეტრიშჩევი, პეშეხონოვი, პროფესორი სემევსკი, ჩარნოლუსკი, შიტნიკოვი და სახელ. სათათბიროს დეპუტატად ნამყოფნი ზამოლოტინი და კრიუკოვი.

27 იანვარს კალინკინის ხიდთან ხუთი შეიარაღებული საეჭვო კაცი დააპატიმრეს. ერთი გადაცმული მეეტლე გამოდგა. მეორეს თეთრი ფაფახი უპოვნეს. დაპატიმრებულნი თავიანთ ვინაობას არ აცხადებენ. ისინი თურმე დამოენის ხაზინადარს უცდიდნენ, რომ ხიდთან გაეძარცვათ. 9 საათზე იმათ „ოხრანნი“ განყოფილების აგენტები შემოერტყნენ. ისინი საჩქაროდ გაიფანტნენ, ზოგი გაიქცა. სამი საათის შემდეგ ხაზინადარმა ნახევარ მილიონი მანეთი გატარა.

**ვარშავა**. ბერლინიდან იუწყებიან, რომ ლოძის მეფაბრიკეები და 100,000 მუშის წარმომადგენელი ჯერ ჯერობით ვერ შეთანხმდნენო. მუამავლები წავიდწამოვიდნენ. მუშებმა წინადადება მისცეს: სანამ დათხოვნილ ამხანაგებს მიიღებდეთ, მუშაობის განვაახლებთ, მხოლოდ იმ პირობით, რომ თვით მეფაბრიკეებმა გაარჩიონ საქმე და უდანაშაულო ამხანაგები შემდეგში მიიღონო.

**რიგა**. კერკოვთურის მინის ქარხანას 3 შეიარაღებული კაცი დაეცა კასირის წინ მაგიდაზე 2000 მანეთი იდო. ასტყდა სროლა. კასირი ხელში დასჭრეს, იმან კი ერთი მოჰკლა. მძარცველები გაიქცნენ, დანარჩენი ორი მოჰკლეს. ფული უკლებადაა.

**თეირანი.** თეირანში, თავრიზში, შირაქსსა და რეშთში თავი იჩინა რევოლიუციონურმა მოძრაობამ. დაწესდა ადგილობრივი „მეჯიმი“, რომელნიც მეჯლისის და თეირანის გუბერნატორის დამოუკიდებლად მოქმედებს. „მეჯლისს“ და გუბერნატორს არეულობის მოსასპობლად ღონე არ შესწევთ. თავრიზის „მეჯიმმა“ გუბერნატორი გამოიწვია და გაროზგვა გადაუწყვიტა. „ფედაი“-ს სახელით სდგება მრავალ რიცხოვანი კავშირები მეჯლისის უფლების დასაცავად. წევრები ერთმანეთს ფულით ეკვრიან. ამიერ კავკასიიდან შეიარაღებული კაცები მოდიან და უკმაყოფილოთა რაზმს უერთდებიან. მეჯლისი ხალხის გავლენის ქვეშ იმყოფება. მეჯლისის შენობა და ეზო ხალხითაა გაჭედილი და ყვირილით მეჯლისს სხდომას ხშირ-ხშირად აწყ ეტინებს. კაჯარის გვარეულობის პრინცებს (განსაკუთრებით შაჰის სიძეს) სამხედრო მინისტრს, პრინც-ნაიბე-სალტანეს დიდ საყვედურს უცხადებენ. მეჯლისის უკანასკნელი სხდომა ხალხის ყვირილმა შესწყვიტა. „ძირს დამიენის მინისტრი, ბელგიელი ნაური,“ იძახოდა ხალხი. ჯამეებში ხალხი ბლომად იკრიბება და ამაღელვებელ სიტყვებს ამბობს. ქალაქში პროკლამაციები დააქვთ, სადაც ნაუსს და მინისტრებს კიცხავენ. სადრაზამს არა სდევნიან, რადგან მისი შვილები რეფორმის პარტიის საქმიანი წევრები არიან. არეულობისა და მეჯლისის სისუტისა გამო (თუმცა უკანასკნელი ძლიერ სცდილობს, რომ რევოლიუციის მომხრეთ არ გამოიყვანონ) კონსერვატიული პარტიის მომხრე მრავლდება.

**ვაშინგტონი**. ოფიციალურად იუწყებიან, რომ პრეზიდენტი რუზველტი და კონგრესის კალიფორნიელი წევრები შეთანხმდნენ და სასკოლო საკითხი სასურველად გადასწყვიტესო. იაპონიას ამის შემდეგ გულისატკენი არა დარჩება რა.

**ტვერი** გუშინ სატუსაღოს უფროსს ვიღაცამ სამჯერ ესროლა და გაიქცა. ჭრილობა საშიში არ არის.

**გომელი**. დაიჭირეს ორი ანარქისტი. მათ ყუმბარა და ვაჭარ არამკინის სახელზე ბარათი უპოვნეს, სადაც ვაჭარს 600 მანეთს და ორ ბრაუნინგს სთხოვდნენ. დაჭერილებს მერპეტრის სახლში ყუმბარის გადაგდებას აბრალებენ.

**მიტავა.** გრობინის მაზრაში გლეხს შტენგერგს თავს დაესხა ორი ლატიში, რევოლვერები მოუღირეს და 16 მანეთი წაართვეს. იმავ დღეს შეამჩნიეს, რომ მძარცველები დუქანში ლუდს შეექცეოდნენ. ერთი მათგანი 20 წლის ვალსენი დააპატიმრეს, მეორეც ჩქარა დაიჭირეს. საველე სასამართლომ მათ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა.

**ვენა.** უმაღლეს სასწავლებლებში დიდი კრებები გაიმართა ლვოვში რუს სტუდენტების დაპატიმრების თაობაზე. სტუდენტები ლვოვის უნივერსიტეტის საბჭოს და გალიციის მეფის მოადგილეს კიცხავენ და დაჭერილთა დაუყონებლივ განთავისუფლებას ითხოვენ.

რედაქტორ-გამომცემელი

**ივ. ი. მჭედლიშვილი.**

# განცხადებანი


**ქუთაისში**

**თესლეულობის**

## კანტორა

**კიწმარიშვილისა და ამხ.-სა**, ბალახვანის ქუჩა, გუგუშვილის სახლში, სადაც შეიძლება შეძენა: იონჯის, კონდრისა, სამყურის, პურის, ეკლის ხის, ბეოლის, ლახანის და ყოველ-გვარი ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობისა. პრეისკურანტები მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ. (12—2)

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ., ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. აველტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**გ. ი. გმელიშვილი:** 12—1 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. გარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

ა. **მ. პუგინოვი:** 6—7 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

(150—ხალ.—15)

## კეფირი

## ო. კორონისა

და იმისი მნიშვნელობა.

ექიმების სოკლეტის, გაცმეინსტენის, შმიდტის და ბილის გამოკვლევით და ბრეიგერის, იერუსალიმსკისა და მენფელ ა გამოცდილებით.

**კეფირი** ძალიან უწყობს ხელს სიმძიმის მომატებას,

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა კუჭის კატარების დროს,

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა სისხ. ნაკლებობის დროს,

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა სისუსტის დროს.

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა სიყვითლის დროს

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა სურავანდის დროს,

**კეფირი** საუკეთესო საშუალებაა მალღონის აღსადგენად.

კეფირის მიღება შეიძლება მხოლოდ **ო. კორონის** მაღაზიაში, ლორის-მელიქოვის ქუჩა სემინარიის პირდაპირ. იქვე მზადდება აგრეთვე ლაქტობაცილინის რძე **პროფესორის მეჩნიკოვის** სისტემაზე. მსურველთ შეგვიძლიან შინაც მივაწოდოთ. (ნ. 20—18)

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებული

## საბუხჰალტერო კურსები

**ნ. ვ. აბრამიანისა,**

ავტორის „Руководство торг. фабр. и нефтепр. бухгалтеріи“-ს. რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამეცნიერო განყოფ., როგორც დამხმარე სახელმძღვანელო საკომერ. სასწავლებლისა და მათ ბიბლიოთეკებში.

**ასწავლიან და ამზადებენ ქალებს და კაცებს** 4 თვეში ბუხჰალტერიის პრაქტიკის შემწეობით.

კურსებზე მიღებულ საგნებს გარდა წლევანდელ სამოსწავლო წლიდან უფასოდ ასწავლიან **პოლიტიკურ ეკონომიას**—როგორც ახალ საგანს კურსებისთვის, და **სტენოგრაფიას** (განსაკუთრებულ ფასით მსურველთათვის).

სწავლის დაწყება 1907 წლის 15 იანვრიდან დროგამოშვებით ყოველ 4 თვის შემდეგ. სწავლა ყოველ დღე ნასადილევს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე: საღამოთი 5—7 ს., დილით 9—10 ს. სწავლის გათავების შემდეგ ეძლევათ დაწესებული ატესტატი, დამტკიცებული ფინ. მინისტრის მიერ.

ამას გარდა, კურსებთან იმათვის, ვინც ნაკლებ არის მომზადებული, დაარსდა განსაკუთრებული კურსები რუსული ენა და არითმეტიკისა,

წესები და პროგრამები მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

მსურველთ ვთხოვთ მიმართონ წერილობით ან პირადად კურსების დამაარსებელს ტფილისში: **ნიკოლოოზის ქ.**, 22 **ტელეფონი** 744.

ზემოდ დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიაში. ვინც ავტორისაგან გამოიწერს—ფასს-დასადებ გადასახადს არ გაიღებს. ფასი 3 მან. 50 კაპ.

12—ხალ.—9)

კომისიონერი მიწათ-მოქმედების და ახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი



## მ. ე. ფრიდონოვი

**ტფილისი, სერგიევის ქუჩა**, № 11.

აწვდის მსურველთ ვენახისა და ბაღების სამკურნალო წამლებს:

შაბიამანს ინგლისის საუკეთესო მარკისას; გოგირდს გაუმჯობესებულს საკუთარ საშუალებით; შესასხურებელს **ვერმორელის** სისტემისას; „ტოროპილებს“, საბერველება, აგრეთვე ყოველგვარ იარაღს საბაღო და სასარდაფო მეურნეობისათვის, მაგალითად: ტუმბოებს, ფილტრებს, საქაჯავს, სეკატორებს, დანებს და სხვას.

შეიძლება დაკვეთა ხილის ხეებისა საკუთარ სანერგედან სადგურ **„სურამთან“**. ქართული კატალოგები მსურველთ სახლში ეგზავნებათ. განყოფილება **ქუთაისში „კოლხიდასთან“**. (50—751—13

მიაქციეთ ფაბრიკის მარკას „ამ ური ს წ ე რ ს“

სასარგებლო ს ჩუქარი მომავალ დღესასწაულებისათვის

მთავარი საწყობი, როგორც ნარდად, ისე ცალობით გასასყიდად

## გრამოფონებისა

✦✦ და ✦✦

## ფირფიტების

**მთელ კავკასიისთვის.**

მიღებულია დიდ-ძალი ფირფიტები სულ ახლად ჩაწერილ სიმღერებისა სხვა და სხვა ენაზე.

ფასი ძლიერ იაფია.

**დასურათებული პრეისკურანტები, კატალოგები და სასიმღეროების სიები მსურველთ ეგზავნებათ და ეძლევათ უფასოდ.**



ფირფიტის ყუთი ფაბრიკის მარკა.

ტფილისის განყოფილება

საქციონერო საზოგ. დოების

## „გრამოფონი“-სა

ტფილისი, გ ლოვინის პროსპექტი, ს. 9.

**ადრესი ტელეგრამებისთვის:** Тифлисъ „Граммокомпанія“.

(25–6–20)

აპარატებისა და ფირფიტების ყიდვის დროს ყურადღება

მიაქციეთ ფაბრიკის მარკას „ამური სწერს“